ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება

Organization Development and Consulting

(საერთაშორისო/ინტერდისციპლინური პროგრამა)

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების მაგისტრი
MA in Organization Development and Consulting

3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: პროფ. ნოდარ ბელქანია (თსუ) და პროფ. ფრიდრიხ გლაზლი (ზალცბურგი, ავსტრია)

4. **სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

- **მიზანი** – კურსდამთავრებულები შესაბამის უნარ-ჩვევებს შეიძენენ კომპეტენციათა სამ ურთიერთმონათესავე სფეროში:

(1) ინდივიდუალური კომპეტენცია: თვითშემეცნება, პროფესიული Qქცევა, ეთიკა, განსაკუთრებული ინდივიდუალური რესურსების, საკონსულტაციო საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი თვისებების, საკუთარი როლისა და ფუნქციების შეცნობა/განვითარება.

(2) სოციალური კომპეტენცია: უნარ-ჩვევების განვითარება კრიტიკულ სიტუაციებში შესაბამისი, პროფესიული და ავთენტური რეაგირებისათვის.

(3) კოგნიტური კომპეტენცია: თეორიული საფუძვლები ადამიანის ხატის, პიროვნების თეორიების, ორგანიზაციის თეორიების, სოციალური, სასწავლო და საკონსულტაციო პროცესების შესახებ.

(4) ტექნიკური კომპეტენცია: კონცეფციები, მეთოდები, დაგეგმვის პრაქტიკული ტექნიკა, ორგანიზაციებში პროცესუალურ ცვლილებათა განხორციელება და მათი ევალუაცია.

(5) პრაქტიკული კომპეტენცია: პროექტის მენეჯმენტი, გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება და გამოცდილების გაცვლა სტუდენტებს ინტერვენციულ უნარ-ჩვევებს გამოუმუშავებს, რათა მათ სტრატეგიების პრაქტიკული განხორციელება, ასევე კონკრეტულ სიტუაციებში მეთოდებისა და ტექნიკის მოდიფიცირება შეძლონ.

- **შედეგი** – კურსდამთავრებულებს შეუძლიათ ცოდნისა და პრობლემების გადაჭრის უნარის გამოყენება ახალ გარემოში. ისინი მიიღებენ ინსტრუმენტს სხვადასხვა სახის ორგანიზაციის კომპეტენტური კონსულტირებისთვის, დიაგნოსტირებისა და შესაძლო კრიზისიდან მათი გამოყვანისთვის.

- **დასაქმების სფეროები** – ამ სამაგისტრო პროგრამის მონაწილენი კვალიფიცირდებიან როგორც კონსულტანტები ორგანიზაციის განვითარების და კრიზისის მენეჯმენტის დარგში და შეუძლიათ დასაქმდნენ ნებისმიერ სასწავლო, კვლევით, მომსახურეობით და საწარმოო ორგანიზაციაში და ასევე არასამთავრობო სექტორში ორგანიზაციის განვითარების კონსულტანტად.

5. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრის დიპლომი. გერმანული ან ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე. სასურველია, თუმცა სავალდებულო არ არის სამუშაო გამოცდილების ქონა.